

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
პერსონალს

ძვირფასო კოლეგებო,

უნივერსიტეტის დაარსებიდან 95 წლის აღსანიშნავად ფაკულტეტმა მნიშვნელოვან ღონისძიებას ჩაუყარა საფუძველი: მიმდინარე წლის 22–26 იანვარს ტარდება პირველი საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

22–24 იანვარი განკუთვნილია სექციური მოხსენებებისთვის დეპარტამენტების შესაბამისად. სამეცნიერო მოხსენებას გააკეთებს ფაკულტეტის ყველა თანამშრომელი, ვინც კვლევით სამუშაოს ასრულებს.

25 და 26 იანვარი განკუთვნილია პლენარული სხდომებისთვის; ჩატარების ადგილი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, სააქტო დარბაზი.

25 იანვარს ფაკულტეტის თითოეული დეპარტამენტი წარმოადგენს ერთ სამეცნიერო მოხსენებას.

26 იანვარს ფაკულტეტის თითოეული დეპარტამენტის ხელმძღვანელი წარმოადგენს შემაჯამებელ მოხსენებას.

26 იანვარს 15 საათზე კონფერენციას დააგვირგვინებს თანამედროვეობის გამორჩეული მეცნიერის პროფესორ გია დვალის პლენარული მოხსენება თემაზე „შავი ხვრელების ფიზიკა და კოსმოლოგია“.

კონფერენციაზე მოხსენებით წარდგებიან ფაკულტეტის დოქტორანტები; სპეციალური კომისია შეაფასებს დოქტორანტურის პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონის სამეცნიერო ფორუმზე გამოსვლა ზოგიერთი დოქტორანტისთვის პირველად მოხდება.

კონფერენციის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში განსაზღვრულია გაწეული სამეცნიერო მუშაობის თვითშეფასება ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ.

კონფერენცია საშუალებას გვაძლევს სტუდენტებს და კოლეგებს გავაცნოთ საკუთარი სამეცნიერო შედეგები, გავიგოთ თუ რა თემატიკაზე მუშაობენ ფაკულტეტის თანამშრომლები, გავიაზროთ თითოეული სტრუქტურული ერთეულის პოტენციალი, დავსახოთ კოლეგებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და სამომავლო მიზნები.

გთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციის პროფილური და პლენარული სექციების მუშაობაში. დარწმუნებული ვარ, კონფერენციის ყველა სექცია იმუშავებს ისე, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის 95 წლის იუბილეს შეეფერება.

გისურვებთ წარმატებას!

პატივისცემით,

რამაზ ბოჭორიშვილი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,  
სრული პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე